სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ განსახორციელებელი ბაზრის კვლევის შესახებ

მოგესალმებით,

სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს 2019 წელს დაგეგმილი აქვს ქალაქ ქუთაისში ისტორიული უბნის რეაბილიტაცია, ტურისტულად მიმზიდველი გარემოს შესაქმნელად.

ქალაქ ქუთაისის აღნიშნული უბნის სარეაბილიტაციოდ საჭიროა დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და ამავე დოკუმენტაციის საფუძველზე სამშენებლო სამუშაოებისათვის საავტორო ზედამხედველობის გაწევის მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება.

შესყიდვის პროცედურების ჩატარების უზრუნველსაყოფად აუცილებელია განისაზღვროს შესყიდვის ობიექტის სავარაუდო ღირებულება და შესყიდვის ობიექტის მიწოდების (მომსახურების გაწევის) საბოლოო ვადა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თანდართული ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული გასატარებელი ღონისძიებების შესაბამისად გთხოვთ, არაუგვიანეს 2019 წლის 24 აპრილის 18:00 საათისა, წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები სსიპ საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. N150) მატერიალური სახით (ნაბეჭდი ვერსია), ან ელ. ვერსიის სახით, შემდეგ ელ. ფოსტებზე: procurement@mdf.org.ge; mbochorishvili@mdf.org.ge

ამასთანავე გთხოვთ, წარმოადგინოთ თქვენი წინადადებები ქვემოთ მოცემული ცხრილის შესაბამისად:

- შესყიდვის ობიექტის ცალკეული ეტაპების სავარაუდო ღირებულებების მითითებით, დღგ-ს გარეშე და შესყიდვის ობიექტის ჯამური სავარაუდო ღირებულების მითითებით, დღგ-ს გარეშე.

- შესყიდვის ობიექტის მიწოდების (მომსახურების გაწევის) ვადები ეტაპების მიხედვით და საბოლოო ვადა.

მომსახურების შესყიდვის სავარაუდო ღირებულება: ---------- ლარი, დღგ-ს გარეშე.

მომსახურების გაწევის საბოლოო ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან ----- კალენდარული თვე.

ც ხ რ ი ლ ი

მომსახურების გაწევის ეტაპები	**სახელშეკრულებო ღირებულებისა და მომსახურების გაწევის ეტაპის პროცენტული თანაფარდობა (სახელშეკრულებო ღირებულების --- %)**	**ვადა**
I ეტაპი - ტექნიკური დავალებით გათვალისწინებული დავალებების შემუშავებისთვის წინასაპროექტო კვლევა: მონაცემების შეგროვება, ანალიზისა და შედეგების ტექსტური და გრაფიკული ასახვა.		ხელშეკრულების გაფორმებიდან ____ დღე/კვირა.
II ეტაპი - საპროექტო ტერიტორიის და ობიექტების დეტალური კვლევების და აზომვით სამუშაოების წარმოება და განვითარების ხედვის ჩამოყალიბება.		
III ეტაპი - საპროექტო ტერიტორიისა და ობიექტების განვითარების და რეაბილიტაციის კონცეფციის მინიმუმ 2 ვარიანტის ჩამოყალიბება და 2 კონცეპტუალური (ესკიზური) პროექტის მომზადება.		
IV ეტაპი - დეტალური საპროექტო ნახაზებისა და დოკუმენტაციის მომზადება.		
V ეტაპი - დამატებითი ვალდებულებები და საავტორო ზედამხედველობა.		
	ვადა სულ:	
	ღირებულება სულ:	

დანართი: ტექ. დავალება - 18 (თვრამეტი) ფურცელი; საკადასტრო კოდები - 15 (თხუთმეტი) ფურცელი.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის